# [მომხმარებლები “ფეისბუკს” ფარულ მოსმენებში ადანაშაულებენ]




**” ფეისბუკის” მომხმარებლები შეშფოთებას გამოხატავენ იმის გამო, რომ კომპანია მათ ფარულ მიყურადებას ახორციელებს.**

სოციალური ქსელის წევრები ერთხმად აღიარებენ, რომ მათ ისეთ ინტერესებზე მორგებული სარეკლამო შეტყობინებები მოსდით, რომლებზეც ინტერნეტ – ქსელში არც უსაუბრიათ. ამიტომ მათ დაასკვნეს, რომ ცუკერბერგის კორპორაცია მათ უთვალთვალებს.

https://twitter.com/rachelmaleady/status/924747189271789568?ref_src=twsrc%5Etfw&ref_url=https%3A%2F%2F360tv.ru%2Fnews%2Fnauka_i_tehnologiya%2Fpolzovateli-facebook-ulichili-sotsset-v-proslushke%2F

“კიდევ ვის მიაჩნია, რომ ჩვენიტელეფონების მეშვეობით გვითვალთვალებენ? მაგალითად ჩემ ფეისბუკ –გვერდზე გამოჩნდა 2 ბრენდის რეკლამა, რომელთა შესახებ დღეს ვისაუბრე”– წერს გაოგნებული გოგონა.

https://twitter.com/sIipperyboi/status/924824151105314817?ref_src=twsrc%5Etfw&ref_url=https%3A%2F%2F360tv.ru%2Fnews%2Fnauka_i_tehnologiya%2Fpolzovateli-facebook-ulichili-sotsset-v-proslushke%2F

“ფეისბუკი” 2014 წლიდან ყველა ჩვენს საუბარს ისმენს, მაშინაც თუ აპლიკაცია გათიშულია”– წერს კიდევ ერთი უკმაყოფილო მომხმარებელი.

ინტერნეტში აქტიურად  განიხილავენ ვიდეოს, სადაც მამაკაცმა შეამოწმა “ფეისბუკის” მიერ საუბრების მოსმენის ფაქტი. მას შემდეგ, რაც მამაკაცმა მეუღლესთან საუბარში კატები ახსენა, მის “ფეისბუკ–გვერდზე” უმაღვე გაჩნდა  კატების საკვების რეკლამა.

360tv.ru